

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის პრობლემები საქართველოში

თინათინ ორმოცაძე
თეონა ჩიტაძე
ნანა ნიკოლაძე

ჯგუფი N 4

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თენგიზ ვერულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
პრობლემა და კონტექსტი	2
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
ფსიქიკური ჯანმრთელობა პირველად ჯანდაცვაში.....	10
დიაგნოსტიკა	12
ფსიქიატრიული დაავადებების გავრცელება	15
სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა.....	18
ინფრასტრუქტურა და საწოლთა ფონდი	20
დაფინანსება.....	23
სტაციონარული მომსახურება:	26
პროექტის მიზანი და ამოცანები	36
კვლევის მეთოდოლოგია.....	37
კითხვარი	37
მონაცემების ანალიზი	39
ძირითადი მიგნებები/შედეგები.....	44
დისკუსია/ინტერპრეტაცია.....	45
რეკომენდაციები და ინტერვენცია	47
ბიბლიოგრაფია	50

აბრივიატურის ჩამონათვალი

დიაგრამა 1.1	13
დიაგრამა 1.2	14
დიაგრამა 1.3	16
დიაგრამა 1.4	17
დიაგრამა 1.5	17
ცხრილი 1.1	19
ცხრილი 1.2	28
ცხრილი 1.3	29
ცხრილი 1.4	30
ცხრილი 1.5	31
ცხრილი 1.6	32
ცხრილი 1.7	40
ცხრილი 1.8	40
ცხრილი 1.9	41
ცხრილი 1.10	41
ცხრილი 1.11	42
ცხრილი 1.12	42

აბსტრაქტი

შესავალი: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ჯანდაცვის სისტემის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. საქართველოში მოქმედებს „ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა“. წლების მიხედვით პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა იზრდება, თუმცა შესამჩნევ ცვლილებას არ განიცდის. პრობლემებია სერვისის ამბულატორიულად მიწოდების მხრივ, რადგან ამბულატორიული სამსახური (ასევე თემზე დაფუძნებული სერვისი) არ არის განვითარებული შესაბამის დონეზე. კვლევის მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელებისას არსებული პრობლემების შესწავლა. **მეთოდოლოგია:** კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ და თვისობრივ ელემენტებს. გამოიკითხა საქართველოში დღეის მდგომარეობით არსებული ყველა იმ სამედიცინო (სტაციონარი) დაწესებულების ხელმძღვანელი რომელიც არის ფსიქიატრიული სერვისის განმახორციელებელი. ასევე გამოიკითხა ამბულატორიული ტიპის ფსიქიატრიულ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების ხელმძღვანელების ნაწილი. **შედეგები:** იმ სტაციონარული და ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისების სახელმწიფო დაფინანსება არასაკმარისია. ექიმების ხელფასები დაბალია. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა არაადაკმაყოფილებელია. ხშირად ექიმს საკუთარი ხარჯებით უწევს პაციენტის მონახულება ბინაზე, როცა ეს უნასკნელი უსახსრობის გამო ვერ ახერხებ მივიდეს უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში. **რეკომენდაციები:** დაფინანსების სისტემა და სერვისების მიწოდება საჭიროებს მნიშვნელოვან დახვეწას, რათა გახდეს რეალურ საჭიროებებზე მორგებული.